პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 259 (18801) სამშაბათი, 8 ნოემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

გუშინ საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავი.

მოსკოვი, წითელი მოედანი, 7 ნოემბერი. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

საკინფორმის ტელეფოტო.

ოქტომბრის ძლევამოსილი ნაბიჯი

სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

ოქმაზიანად გაისმის მთელ პლანეტაზე ამაყი სიტყვა — ოქტომბერი. მასში მოისმის „ავრორას“ ზალპის ექო და ხუთწლედების დიად მშენებლობათა გუგენი, ფაშისტურ ჭირზე საბჭოთა ჯარისკაცის გამარჯვების აღსანიშნავი მაისის სალუტის გამოძახილი და კოსმოსურ შორეთში აჭრილი მშვიდობიანი რაკეტების გრუხუნი, — ყოველივე ის, რასაც საბჭოეთის გმირული ისტორია შეუქმნია.

ასტრონომიული კალენდრის მიხედვით ოქტომბერი შემოდგომის ზენიტია, მაგრამ არის მეორე კალენდარიც — ისტორიის კალენდარი, რომლის მიხედვითაც ოქტომბერი გაზაფხულია კაცობრიობისა. მსოფლიოს პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დაბადების დღემ დასაბამი მისცა ახალ წელთაღრიცხვას, სამყაროს სოციალისტური გარდაქმნის ეპოქას.

66-ჯერ აღნიშნავენ საბჭოთა ადამიანები, ჩვენი სოციალისტურმეკუნველი მეგობრები, კლასობრივი ძმები მთელ მსოფლიოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავს. მოვაბიჯებთ რა სადღესასწაულო კოლონებში, ჩვენ ერთგულებას ვფიცავთ ლენინური პარტიის დიად საქმეს, რომლისთვისაც სწირავდნენ თავს რევოლუციური მებრძოლნი, ვფიცავთ ღირსეულად ვატაროთ ოქტომბრის ესტაფეტა, ვამრავლოთ კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი.

„ოქმშენებლობა“ და „მშვიდობა“ წარწერილი ჩვენს დროშაზე ზამთრის სასახლის დალაშქვრის ისტორიული დღიდან. და თუმცა ახლა მსოფლიოში განსაკუთრებით დაიძაბა მდგომარეობა, საბჭოთა ხალხი — ისტორიის პირველმკვალავი — იმედიანად შეჰყურებს მომავალს. თეთრი სახლის ადმინისტრაციის აგრესიულ კურსს, რომელიც კაცობრიობის თვრამმეორთვეული კატასტროფის საფრთხეს უქადის, კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო უპირისპირებენ მშვიდობისათვის თანამიმდევრული ბრძოლის პროგრამას. „საბჭოთა ხელმძღვანელობას, — ხაზგასმით არის აღნიშნული ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში, — არ ეშალება კითხვა, თუ რა გეზი აირჩიოს საერთაშორისო საქმეებში და ახლანდელ მწვავე ვითარებაში. ჩვენი კურსის მიზანი კვლავინდებურად მშიდობის შენარჩუნება და გაფმტკიცება, დაძაბულობის შეზღუდვა, გამალებული შეიარაღების ალაგმვა, სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავებაა. ასეთია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის უცვალელი ნება“.

7 ნოემბერს მოსკოვის წითელ მოედანს ალისფერი დროშების ხანძარი მოედო და მისი ათინათი ჭაღარა კრემლის გალავანზე ათამაშდა. სადღესასწაულოდ მორთული ქვეყნის დედამოედანი, რომელიც ოქტომბრის ზეიმის ცენტრი გამხდარა.

„გუშინ“ შენობის ფასადზე მოჩანს ვ. ი. ლენინის, ოქტომბრის ბელადის, იმ ადამიანის პორტრეტი, რომელმაც მოაწერა ხელი ზავის დეკრეტს — საბჭოეთის ახალგაზრდა რესპუბლიკის პირველ საკანონმდებლო აქტს.

საბჭოთა ხალხის მიერ გამოვლილ ბრძოლისა და გამარჯვებების სახელოვან გზას სიმბოლურად გამოხატავს ციფრები: „1917-1983 წლები“. გვერდით მოჩანს უზარმაზარი პანო: რევოლუციის მებრძოლებს გაუშლიათ დროშა, რომელზეც წარწერილია: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“.

ალისფრად გიზგიზებს ლოზუნგები: „გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდამეექვსე წლისთავს!“, „დიდება დიდ ოქტომბერს, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ეპოქა — სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქა!“.

ლენინური მოძღვრება მატებს საბჭოთა ადამიანებს ძალებს კომუნისტური აღმშენებლობის გრანდიოზული ამოცანების გადასაწყვეტად. ისინი მთელ თავიანთ საქმეებსა და მისწრაფებებს უკავშირებენ მშობლიურ პარტიას. „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას! პარტიისა და ხალხის ერთობა, დიდი ლენინის ანდერძის ერთგულება ყველა ჩვენი გამარჯვების საწინდარია!“ — წარწერილია ერთ-ერთ ტრანსპარანტზე.

წითელ მოედანზე **ნათლად** გრძნობ, რომ ოქტომბრის დღესასწაული მთელი ქვეყნის, საბჭოთა კავშირის ხალხთა მთელი ძმური ოჯახის ზეიმია. კრემლის გალავნის ქონგურებს შორის მოჩანს სსრ კავშირის ბერმის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის გერბების გამოსახულებანი. თხუთმეტ ანძაზე ფრიალებს მათი სახელმწიფო დროშები.

ლამაზი პანო ამშვენებს ისტორიის მუზეუმის ფასადსაც. იგი ეძღვნება საბჭოთა ხალხის ბრძოლას მშვიდობისათვის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის. მშვიდობა და შრომა — ეს ცნებები საბჭოთა ადამიანისათვის განუყოფელია. მგზნებარედ მოისმის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ, ლენინურ საგარეო პოლიტიკას!“.

სასტუმრო ტრიბუნებზე არიან კომუნისტური პარტიისა და ოქტომბრის რევოლუციის ვეტერანები, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, მეცნიერების და კულტურის მოღვაწენი, კოსმონავტები, მრავალი საზღვარგარეთელი სტუმარი. აქვე არიან სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **ჰ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, გ. ვ. რომანოვი, ნ. ა. ტიხონოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი.** აქვე არიან თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები.

კრემლის მაცხოვრის კოშკზე კურანტებმა ჩამოჰკრეს. ათი საათია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი **დ. თ. უსტინოვი** იბარებს პარადის სარდლის, არმიის გენერლის პ. გ. ლუშევის პატაკს, უვლის ჯარებს და ულოცავს პარადის მონაწილეებს დღესასწაულს. პასუხად გრიალებს სამგზისი „ვაშა!“.

ჯარების ჩამოვლის შემდეგ დ. თ. უსტინოვი მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადის და წარმოთქვამს სიტყვას.

ამხანაგ დ. თ. უსტინოვის სიტყვა

ამხანაგო საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებო! საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით და დავალებით მოგეს ალმებით და მოგვლოცავთ საყოველთაო სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავს.

მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაბადების დღეს საბჭოთა ადამიანები ხვდებიან დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, აღნიშნავენ მას ახალი შრომითი მოღწევებით თავდადებულ ბრძოლაში, რომელსაც ეწევიან პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და ივნისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების, მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. ჩვენთან ერთად ამ დღესასწაულს ზეიმით აღნიშნავენ მოძმე სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

გზა, რომელიც ოქტომბრის სამშობლომ გამოიარა 66 წლის მანძილზე, მთელი ისტორიული ეპოქაა. ისტორიას არ ახსოვს ესოდენ სწრაფი აღმფრენა საუკეუნოებრივი ჩამორჩენილობიდან თანამედროვე მძლავრ დიად სახელმწიფომდე, რომელსაც აქვს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის მაღალი დონე, საჭირო თავდაცვითი პოტენციალი, სადაც ნაღად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა.

სსრ კავშირი ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების ბურჯია, საბჭოთა კავშირთან ერთად ახალი ცხოვრების მშენებლობის გზას ადგანან სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები. ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი ყველაფერს აკეთებდნენ და გააკეთებენ, რათა მხარში ამოუდგნენ კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებულ და სოციალისტური განვითარების გზაზე დამდგარ ხალხებს, ყველა ამ ხალხს, რომელიც ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის იბრძვის. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირი, დიდად აფასებს ჩვენი მეგობრების სოლიდარობას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ახორციელებენ ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია მშვიდობის დამკვიდრება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა, სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება. ეს კიდევ ერთხელ დამაჯერებლად არის ნათქვამი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის განცხადებასა და პასუხში გაზეთ „პრავდის“ კითხვებზე. საბჭოთა ხალხს, მსოფლიოს მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს ეს დოკუმენტები მიაჩნიათ ჩვენი ქვეყნის კეთილი ნების ახალ გამოხატულებად, მოწოდებად მსოფლიოს ხალხებისადმი გააერთიანონ მეცადინეობა ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში.

ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმისადმი მტრულ კურსს ადგანან საერთაშორისო საქმეებში იმპერიალისტური წრეები, და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები, მისი ნატოელი მოკავშირეები. მათ გააჩაღეს უპრეცედენტო მასშტაბის გამალებული შეიარაღება, აწყობენ პროვოკაციებს და დანაშაულებრივ დივერსიებს სსრ კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, ცდილობენ იარაღის ძალით ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, უტიფარად თელავენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სუვერენიტეტსა და ღირსებას.

მაგრამ არავის ხელეწიფება უკუღმა დააბრუნოს ისტორიის ჩარხი. ჩვენს ავისმდომთა აუხდენელი წადილის მიუხედავად, სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები იცხოვრებენ და განვითარდებიან თავიანთი კანონების — ყველაზე მოწინავე სოციალური წყობილების კანონების მიხედვით. თავისი არსებობის სამოცდაექვსი წლის მანძილზე საბჭოთა სახელმწიფომ წარმატებით გაუძლო ბევრ განსაცდელს. და იმათ, ვინც ცდილობდა ხელეყო ჩვენი სამშობლოს მთლიანობა და სუვერენიტეტი, ჩვენი წყობილება, დიდი ხანია ნახეს თავიანთი ადგილი ისტორიის სანაგვეზე. დროა, შეიგნოს ყველამ, ვისაც ეს ეხება, რომ სსრ კავშირის, ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების უშიშროებას ჩვენ ყოველთვის უზრუნველვყოფთ. ასე იყო და კვლავაც ასე იქნება!

არავის დავანებებთ მიაღწიონ სამხედრო უპირატესობას ჩვენთან შედარებით. ევროპაში საშუალო სიშორის ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების პასუხად საბჭოთა კავშირი იძულებულია მიიღოს დამატებითი ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოს როგორც თავისი უშიშროება, ისე ვარშავის ხელშეკრულების წევრი ჩვენი მოკავშირეების უშიშროება, შეუდგეს მოსამზადებელ სამუშაოებს, რათა განალაგოს ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიებზე. ამ მოძმე ქვეყნებთან მორიგების შესაბამისად.

საბჭოთა კავშირზე ბოროტი თავდასხმები აღაშფოთებს საბჭოთა ადამიანებს, შეიარაღებული ძალების მეომრებს და ამასთანავე, ღრმად აგრძნობინებს მაღალ პასუხისმგებლობას სამშობლოს ბედისათვის, სოციალიზმის ბედისათვის. ეს ახალი ძალით დამაჯერებლად დადასტურდა მოსკოვის ომისსაწინააღმდეგო მანიფესტაციაზე, მრავალრიცხოვან კრებებზე შრომითს კოლექტივებსა და ჯარის ქვეგანაყოფებში. საბჭოთა კავშირი ადასტურებს, რომ მას სურს მშვიდობიანად იცხოვროს ყველა ქვეყანასთან. მას არა აქვს აგრესიული გეგმები, იგი მუდამ ღაშჭრებს გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, არავის არ აბეზავს თავს თავის სოციალურ წეს-წყობილებას.

ოქტომბრის დიად მონაპოვართა სადარაჯოზე ფხიზლად და სამედოდ დგანან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები. კომუნისტური პარტიის, სოციალისტური სამშობლოს, თავიანთი ხალხის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა მეომრები, რომლებიც ერთგული არიან რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციებისა, წმიდათაწმიდად იცავენ და ამრავლებენ ჩვენი არმიისა და ფლოტის მხედრულ დიდებას. ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მეომრებთან ერთიან საბრძოლო მწყობრში ისინი ავლენენ მაღალ სიფხიზლეს და მუდამ მზად არიან პირნათლად მოიხადონ პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს! ვაშა!

• • •

მოედანზე გრიალებს მრავალხმიანი „ვაშა!“. ქუხს საარტილერიო სალუტი. წითელ მოედანზე გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

წითელ მოედანზე შემოდიან მედოლეები და მეფანფარენი — მოსკოვის სამხედრო-მუსიკალური სასწავლებლის კურსანტები. ისინი ტრადიციისამებრ ხსნიან ჯარების პარადს. ნორჩი მუსიკოსების კვლავკვალ ფეხშეწყობით, მწყობრ რიგებად მოაბიჯებენ სამხედრო აკადემიების კრებსითი ბატალიონები.

მავზოლეუმის წინ მოაბიჯებენ მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის მსმენელები. ერთი თვის შემდეგ კი უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი თავის 65 წლისთავს აღნიშნავს. აკადემია ვ. ი. ლენინის ინიციატივიანი ფიზიკოსებისა და ინჟინრების ბრძოლა ატომურ ენერგიის ათვისებისა და ატომური ენერგეტიკის ფუძეების ჩაყრისა ბოლოს ეტაპზე ავიყვანეთ. ეს ბრძოლა ბოლოს ეტაპზე ავიყვანეთ. ეს ბრძოლა ბოლოს ეტაპზე ავიყვანეთ. ეს ბრძოლა

(დასასრული 3-ე გვ.).

დარბაზობა კრემლის ყრილობათა სასახლეში

7 ნოემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ კრემლის ყრილობათა სასახლეში დარბაზობა გამართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავის აღსანიშნავად.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ჰ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, გ. ვ. რომანოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი.

დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მხედართმთავრები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერების და კულტურის მოღვაწენი, კოსმონავტი მფრინავები.

დარბაზობას დაესწრნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების თვალსაჩინო მოღვაწენი, სხვა საზღვარგარეთელი სტუმრები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში გამართულ ზეიმზე ჩამოვიდნენ, სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, სამდვდელოების წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

შეკრებილთ მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა.

ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვის გამოსვლა

პატივცემულო სტუმრებო!

ნება მიბოძეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით, აგრეთვე პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის სახელით მოგილოცოთ დიდი დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავი, მსოფლიოს პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს დაბადების დღე.

გულითადად მივესალმებით და ვულოცავთ ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მოქალაქეს — მუშებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებს და კულტურის, განათლების და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს, ჩვენი სასიქადულო შეიარაღებული ძალების მეომრებს.

გულთბილად ვეულოცავთ პარტიის ვეტერანებს, ოქტომბრის რევოლუციის მონაწილეებს, ომისა და შრომის ვეტერანებს.

ჩვენი დღესასწაული უკვდავი ლენინური იდეების, ოქტომბრის იდეების ნათელით არის გაცისკროვნებული. კომუნისტური პარტიის, დიდი ლენინის ხელმძღვანელობით რუსეთის მშრომელებმა განახორციელეს ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია, დასაბამი მისცეს სამყაროს სოციალური განახლების ეპოქას.

საბჭოთა ადამიანები დიდი ოქტომბრის ამ დღესასწაულს ეგებებიან შესანიშნავი მიღწევებით, მტკიცედ მიიწევენ წინ მშვიდობისა და აღმშენებლობის კურსით. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უღრმეს მადლობას მოახსენებენ ყველას, ვინც თვისი შრომით ამრავლებს სოციალისტური სამშობლოს სიმდიდრეს, განამტკიცებს მის თავდაცვისუნარიანობას, ხელს უწყობს ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას.

ამათ შორის, ვინც თვისი მიღწევებით განადიდებს ოტომბრის საქმეს, არ შეიძლება არ დავსახელოთ ჩვენი გმირი კოსმონავტები ამხანაგები ლიახოვი და ალექსანდროვი, რომლებმაც ახლახან განახორციელეს უნიკალური ექსპერიმენტი კოსმოსში. ვუსურვოთ მათ შემდგომი წარმატებანი ფრენაში.

მსოფლიოს შფოთიანი დრო დაუდგა. იმპერიალისტურმა წრეებმა ატომურ ენერგიის ათვისებისა და ატომური ენერგეტიკის ფუძეების ჩაყრისა ბოლოს ეტაპზე ავიყვანეთ. ეს ბრძოლა ბოლოს ეტაპზე ავიყვანეთ. ეს ბრძოლა

სალუტი ოქტომბერს

7 ნოემბერს საღამოს მოსკოვის ცა სალუტმა აეკაშკაშა. ტრადიციისამებრ, ოცდაათი საარტილერიო ზალპით მიესალმა მოსკოვი დიდი ოქტომბრის დღესასწაულს.

ლამაზი სანახავი იყო ამ საღამოს ქალაქი. გაჩირაღდნებული, წითელი დროშებით, ტრანსპარანტებით, პანნოებით დამშვენებული პროსპექტები და ქუჩები, მოედნები და პარკები ადამიანთა ნაკადებით აივსო. ისინი მიემართებოდნენ წითელ მოედანზე — სახალხო სეირნობის ცენტრში.

პროექტორების შუქით არის განათებული ძველი და მარად ახალგაზრდა კრემლი, მისი ლალის ვარსკვლავები — დიდი ოქტომბრის წმიდათაწმიდა სიმბოლოები.

სალუტი მიეცა აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, ოდესაში, სევასტოპოლში, ნოვოროსიისკში, ქერჩში, ტულაში, გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ქალაქებში კალინინგრადში, ლვოვში, დონის როსტოვში, კუიბიშევში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ხიტაში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკსა და სევერომორსკში. (საკდესი).

ოქტომბრის ძლევამოსილი ნაბიჯი

(დასასრული)

თა და პირადი მონაწილეობით შეიქმნა 1918 წლის 8 დეკემბერს. აკადემია დაამთავრა ათასობით ოფიცერმა, ბევრმა გამოჩენილმა მხედართმთავარმა, მათ შორის ი. ქ. ბაგრამიანმა, ს. მ. ბუდიონიმ, გ. კ. ჟუკოვმა, ი. ს. კონევმა, რ. ი. მალინოვსკიმ, ს. კ. ტიმოშენკომ, ვ. ი.. ჩუიკოვმა.

მაგზოლეუმს უახლოვდებიან ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის აღსაზრდელები — წითელ კომისართა მეძკვიდრენი. მათ შორის არიან კაპიტანი ს. ნ. პეგარკოვი. ისეეე, როგორც მისმა ორმა უფროსმა ძმამ, მან დაამთავრა დონეცკის საინჟინრო ჯარებისა და კავშირგაბმულობის ჯარების უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებელი. ახლა სამივე ძმა ვ. ი. ლენინის სახელობის აკადემიის მსმენელია, რომელიც დაამთავრა მათმა მამამაც — დიდი სამამულო ომის მონაწილემ. სამშობლოს, პარტიისა და მთავრობის უსაზღვროდ ერთგული პოლიტმუშაკები ღირსეულად ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავს.

მარშზე არიან ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სამხედრო აკადემია, საბჭოთა კავშირის მარშალის რ. ი. მალინოვსკის სახელობის ჯავშანსატანკო ჯარების სამხედრო აკადემია, ჩვენი ქვეყნის უძველესი სამხედრო სასწავლებლის — ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინერო აკადემიის საპარადო ჯგუფეული.

მოედანზე მოაბიჯებენ საბჭოთა კავშირის მარშალის ს. კ. ტიმოშენკოს სახელობის ქიმიური დაცვის სამხედრო აკადემიის, ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის, პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიის მსმენელები.

მორიგ კოლონას მოაქვს თეთრცისფერი წითელვარსკვლავიანი დროშა. მოდიან კასპის ს. მ. კიროვის სახელობის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კურსანტები და ოფიცრები — ფლოტის მომავალი ოფიცრები. სადაც უნდა მოუხდეთ სამსახური, ისინი ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ მხედრულ მოვალეობას.

მოედანზე არიან მედესანტე პარაშუტისტები. მათ ცვლიან მოსკოვის საბჭოს სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლესი მესაზღვრე მეთაურთა სასწავლებლის კურსანტები, საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები. ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის შინაგანი სამსახურის ჯარების დივიზიის მეომრები.

მოდიან სუვოროველთა და ნახიმოველთა კოლონები. წელს სუვოროვის სასწავლებლები თავიანთი შექმნის 40 წლისთავს აღნიშნავენ. ამ ხნის მანძილზე ისინი ათასობით აღსაზრდელმა დაამთავრა. ბევრი ყოფილი სუვოროველი ამჟამად გენერალი, პოლიტმუშაკი, სამხედრო აკადემიებისა და სასწავლებლების მასწავლებელი გახდა. მათ მოჰყვებიან მოსკოვის რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის უმაღლესი საერთოსაჯარისო მეთაურთა სასწავლებლის კურსანტები — სახელგანთქმული კრემლის კურსანტების მეკვიდრენი.

ძრაველის გუგუნით შემოდიან მოედანზე ტამანის მ. ი. კალინინის სახელობის გვარდიული მოტომსროლელთა დივიზიის საბრძოლო მანქანები. ტამანელებს მოჰყვებიან საჰაერო-სადესანტო ჯარები. მათ ცვლიან ტანკისტები, არტილერისტები, საჰაერო თავდაცვის ჯარების საზენიტო-სარაკეტო ქვედანაყოფები. საბრძოლო ტექნიკის კოლონას მოჰყვებიან ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ჯგუფეულები. ეს იარაღი არმისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერების საფუძველია.

მაგზოლეუმის წინ მოაბიჯებენ გაერთიანებული სამხედრო ორკესტრის მწკრივები. დამთავრდა 111-ე სამხედრო პარადი წითელ მოედანზე. მან კიდევ ერთხელ დამაჯერებლად დაადასტურა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ძლიერება, მათი მზადყოფნა დაუყოვნებლივ უკუუგდონ ყველგვარი აგრესორი.

მშრომელთა დემონსტრაციას წინ მოუძღვის სადღესასწაულოდ მორთული ავტომობილების კოლონა. მეთაურ მანქანაზეა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პორტრეტი. ალისფრად კიაფობს მოწოდება: „დიდება დიდ ოქტომბერს!“ სამოცდაექვსი წლის წინათ მრავალეროვანი რუსეთის ცხოვრებაში ძირეული შემობრუნება მოხდა: ხალხი პირველად გახდა თავისი ბედის განმგებელი. დაიწყო ახალი დროის თვლა მთელი პლანეტისათვის. სოციალიზმმა ერთსულოვან ოჯახად შეაკავშირა ჩვენი ქვეყნის ასზე მეტი ერი და ეროვნება. ჩვენი საზოგადოების ძლიერების ცხოველმყოფელი წყარო საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი ინტერნაციონალური ერთიანობა და ძმური მეგობრობა.

მხატვრულად გაფორმებული კომპოზიციები ავტომანქანებზე ასახავენ ჩვენი ქვეყნის შრომითი წარმატებებისა და გეგმების ძირითად მიმართულებებს.

საბჭოთა ადამიანები ცხოვრობენ და შრომობენ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა კეთილმყოფელი გავლენით, დამკვრელური შრომით განამტკიცებენ სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვით ძლიერებას. ეს ახალი ძალით დადასტურდა 15 ოქტომბრის კომუნისტურ შაბათობაზე, რომელიც მთელ ქვეყანაში დამკვრელური შრომის დღესასწაული გახდა.

წითელ ტრანსპარანტზეა ლოზუნგი „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებანი მოსკოველებს, მთელი საბჭოთა ხალხს საბრძოლო პროგრამად!“. ამ ლოზუნგით აისახა უკრაინელ მეშახტეთა და ტიუმენელ მენავთობეთა, ურალელ და ბელორუს მანქანათმშენებელთა, ციმბირელ ენერგეტიკოსთა და ბაშკირელ ქიმიკოსთა — სოციალისტური სამშობლოს ყველა მშრომელის ნება და შრომითი შემართება.

მთელ მსოფლიოში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობამ ლენინურმა საგარეო პოლიტიკამ. საბჭოთა ადამიანების, მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის მხურვალე გამოხმაურება, ერთსულოვანი მოწონება გამოიწვია ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადებამ, მისმა პასუხმა გაზეთ „პრავდის“ კითხვებზე, რომლებშიც ჩანს სიბრძნე და სიმტკიცე, რეალიზმი და მაღალი პასუხისმგებლობა მშვიდობის ბედისათვის. თითოეული ჩვენგანის გულში ღრმა კვალი დატოვა ერთ-ერთ ტრანსპარანტზე წარწერილმა იერი ვლადიმერის ძის სიტყვებმა: „საბჭოთა კავშირი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა დაიცვას ქვეყნად მშვიდობა“.

საბჭოთა ადამიანები გადაჭრით ილაშქრებენ დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების წინააღმდეგ. „ევროპას — მშვიდობა, უშიშროება და თანამშრომლობა!“ — გაისმის მილიონთა მოთხოვნა.

მაგზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ყვავილების თაიგულებით ადიან პიონერები. ისინი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს ალისფერ მიხაკებსა და წითელ ბაფთებს გადასცემენ.

წითელ მოედანზე მოდის მანქანა, რომელზეც არის ღამაზად გაფორმებული პანო. პანო მოგვითხრობს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის შესახებ. ტრანსპარანტებზე და ლოზუნგებზეა მოსკოვის მშრომელთა პატაკები. რომლებიც დედაქალაქის სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად გადაქცევისათვის იბრძვიან. 1983 წლის ათი თვის დავალება მოსკოვის მრეწველობამ გადამდი — 26 ოქტომბრისათვის შეასრულა. ქალაქის მშრომელთა აღმშენებლობითი აქტიურობა ნათლად აისახება სოციალისტური შეჯიბრების ფართო განვითარებით. მისი უმაღლესი საფეხურია შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მძიმრთა, რომელიც დედაქალაქში 25 წლის წინათ ჩაისახა. ორმილიონ-ნახევარი მოსკოველი კომუნისტური შრომის დამკვრელია, ორასამდე საწარმო და ორგანიზაცია კომუნისტური შრომის კოლექტივის სამპატიო წოდებას ატარებს.

ჩვენი ქვეყნის მთავარ მოედანზე შემოდიან შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა სადღესასწაულო კოლონები.

ოქტომბრის რაიონის კოლონის სათავეში ჩადგომის უფლება მოიპოვეს სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშებმა და ინჟინრებმა. ფოტოსურათი, რომელიც დემონსტრანტებს მოაქვთ, გვახსენებს საწარმოს კოლექტივის შეხვედრას იური ვლადიმერის ძე ანდროპოვთან. იმ ღირსსახსოვარ დღეს მუშებმა პირობა დადეს განამტკიცონ დისციპლინა და წესრიგი და ამის მეოხებით უზრუნველყონ წარმოების შემდგომი ზრდა. მოძრაობის ინიციატორები, რომელსაც მხარი დაუჭირეს მთელ ქვეყანაში, ღირსეულად ასრულებენ პირობას.

ეს მოძრაობა კიდევ უფრო განვითარეს კანონმა შრომითი კოლექტივების შესახებ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებამ სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის გაძლიერების თაობაზე.

საწარმოში ორგანიზებულობისა და წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ინიციატორია სოციალისტური შრომის გმირი ვ. გ. კომაროვი. ამწყობ ზეინკალთა ბრიგადა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, სოციალისტური შეჯიბრების უცვლელი ლიდერია და უკვე შესასრულა ხუთწლედის სამი წლის დავალებანი.

—დღესასწაულის დღეს განსაკუთრებული ძალით გრძნობ, თუ რა უსაზღვრო შესაძლებლობანი აქვს მუშათა კოლექტივს, რომელსაც ახლა კანონმა ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების ფართო შესაძლებლობანი ბოძოსახა, — თქვა ვლადიმერ კომაროვმა. — ახლა ჩვენს ქარხანაში წარმოების მუშაკთა ნახევარზე მეტი შრომის ორგანიზაციის ბრიგადულ ფორმაზე გადავიდა. კომპლექსურ ბრიგადაში ყველაზე უფრო სრულად ვლინდება ადამიანის უნარი, უფრო სწრაფად იზრდება ახალგაზრდობის ოსტატობა. ჩარხშენებლებთან შეხვედრის დროს ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა მუშებს სთხოვა ეფიქრათ, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ პირად დავალებას თითოეული ასრულებდეს და, თუ საჭირო გახდა, დამბარებოდნენ ამხანაგს. ეს სიტყვები მოქმედების სახელმძღვანელოდ იქცა. საწარმოს ათობით ბრიგადაში ახალგაზრდობის დამრიგებლები საოკეთესოთაგან საუკეთესონი გახდნენ. ახალგაზრდა მუშები მათგან არა მარტო შრომის მოწონაკე ხერხებს სწავლობენ, არამედ მოჭალაქეობრივი სიმწიფის, საქმისადმი შეჯნებული დამოკიდებულების გაკეთილისაც ეფერებენ.

„საბჭოთა კავშირის მშრომელებო! დაიჩარეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის! მტკიცედ დაეჭიდეთ პრაქტიკაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს!“ — გაისმის მოედანზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს საოქტომბრო მოწოდება უშუალოდ არის მიმართული ლითონსაჭრელი ჩარხების ქსპირომენტული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებისა და მუშებისადმი, რომელიც დემონსტრატორების კოლონებში ორჯონიკიძელების მხარდამხარ მოაბიჯებენ. უკვე 50 წელია ეს კოლექტივი დგას საბჭოთა ინდუსტრიის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ავანგარდში. მრეწველობის ბევრ დარგებს აღჭურვა თანამედროვე ჩარხებითა და ავტომატური ხაზებით, რომელსაც ელექტრონიკა მართავს, რობოტექნიკის ფართო დანერგვა —პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული ასეთ ამოცანებს წარმატებით წყვიტს ინსტიტუტის კოლექტივი.

— მეცნიერებისა და პრაქტიკის მჭიდრო შერწყმა, წარმოებაში საკონსტრუქტორო ნამუშევრების უსწრაფესი დანერგვა ჩვენი კოლექტივის საქმიანობის განმასხვავებელი ნიშნებია, — თქვა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ენიმსის“ გენერალურმა დირექტორმა ვ. ს. ბელოვმა. — ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ დღესასწაულზე მეცნიერებთან ერთად მოვიდნენ ჩვენი ინსტიტუტის საცდელი ბაზის — ქარხანა „ჩარხკონსტრუქციის“ სპეციალისტები და მუშები. სწორედ ისინი ასხამენ ხორცს ლითონნით ჩარხის შემქმნელთა ყველაზე გაბედულ იდეებს. ასეთი თანამეგობრობა სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების რეალიზაციის უტყუარი გზაა.

ასეთი მუშაობის ეფექტიანობის სიკეთე ეგრძნეს ბევრი სამრეწველო საწარმოს კოლექტივებმა. მათ შორის არის ქარხანა „წითელი გზა“, რომლის წარმომადგენლებიც მოდიან წითელ მოედანზე. ამ საწარმოში ინსტიტუტის მეცნიერთა დახმარებით ავტომატიზებული უბნის ამოქმედებამ შესაძლებელი გახადა დაენერგათ პროგრესული ტექნოლოგია, იმაღლებინათ პროდუქციის ხარისხი.

ჩვენს უზარმაზარ ქვეყანაში არ არის ისეთი ადგილი, სადაც არ შრომობდნენ დედაქალაქის წარგზავნილნი, არ ისმოდეს ამაყი „მე მოსკოველი ვარ!“. დედაქალაქის წარმომადგენლები გულუხვად უზიარებენ თანამშრომელ ამხანაგებს გამოცდილებასა და ცოდნას და მონაწილეობას იღებენ ხუთწლედის ყველა უდიდეს მშენებლობაში. ერთი მათგანი მიმდინარეობდა დევიზით „ურენგოის გზა — მშვიდობას!“.

ისტორიამ არ იცის იმის სადარი მშენებლობის ტემპი, როგორსაც მიაღწიეს ურენგოი-პომარი-უჟგოროდის ტრანსკონტინენტური გაზსადენის მშენებლებმა: ტრასაზე ყოველდღიურად საშუალოდ 15-20 მილიონ მანეთს ითვისებდნენ. იმათ შორის, ვინც აჩქარებდა საპროექტო სიმძლავრით მაგისტრალის ამოქმედებას, იყო ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ცენტრალური სადისპეტჩერო განყოფილების წამყვანი ინჟინერი ი. ა. ტურაევი. დღეს იგი სადღესასწაულო კოლონაშია.

— ჩვენი სამმართველო გახდა შტაბი ამ გიგანტური გაზსადენის მშენებლობისა, რომელიც ოთხიათასა ხუთას კილომეტრზე გადაიჭიმა, — ამბობს იგორ ტურაევი. — დაგვჭირდა ძალების მაქსიმალური დაძაბვა, რათა უზრუნველგვყოო სიხუსტე ტრასაზე ტექნიკის მიწოდებაში, მშენებლთა მომარაგებაში, მთელი მათი მოქმედების კოორდინაციაში. ვამაყობ, რომ ამ უნიკალურ ნაგებობაში ჩაქსოვილია ჩვენი შრომაც — ჩემი, პირადად, და ჩემი ამხანაგებისა.

საბჭოთა ადამიანებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ საბჭოეთს მძლავრი ეკონომიკური პოტენციალი აქვს და რეიგანის ადმინისტრაციის არავითარი „ემბარგოსი“ არ ეშინია.

მოედანზე გაისმის ჩვენი საზოგადოების ვეტერანთა სადიდებელი შეძახილები. ისინი განასახიერებენ კომუნისტური მშენებლობის უნიკალურ გამოცდილებას. მათ წელად ხვდათ უძნელესი და ამასთან უაღრესად საპატიო მისია — განეხორციელებინთ სოციალისტური რევოლუცია, შინაური და გარეშე მტერთან ბრძოლებში დაეცვათ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა, ჩაეყარათ ახალი საზოგადოების საფუძველი, გამოეკვებათ გამარჯვება დიდ სამამულო ომში, აღედგინათ სახალხო მეურნეობა, გაეტეხათ ყამირი, გაეხსნათ და გაეკვალათ კოსმოსის გზა...

მათი უდიდესი ღვაწლის ახალი აღიარება, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის, ცენტრალური კომიტეტის მდივნების შეხვედრა პარტიის ვეტერანებთან, რომელიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა. ამ შეხვედრამ ცხადყო კომუნისტური იდეალების წარუვალი მნიშვნელობის, იმ გზის სისწორის ღრმა პარტიული რწმენა, რომელსაც ადგას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

ლაპარაკობს სკკპ წევრი 1917 წლის ოქტომბრიდან, ზამთრის სასახლის შტურმის მონაწილე კონსტანტინე პეტრეს ძე სინოზერასი:

— ჩვენ, პარტიის ვეტერანები, უდიდეს კმაყოფილებას ვგრძნობთ, როგორ ხორციელდება ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს სამქმეებში პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური სტილი. ეს ნამდვილად ლენინური ტრადიციაა — წინასწარ განხილული შრომითს კოლექტივებში საბელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაზრისო საკითხები, რომლებზეც დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი მიიღება. და აი, კიდევ რა მინდა ვთქვა: ჩვენ კარგად გვახსოვს ლენინის ის სიტყვები, რომ ჩვენი სოციალისტური რევოლუციის წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო ხერხია ყურადღება მივაპყროთ გადასაწყვეტ საკითხებს. არ დავჯერდეთ მიღწევებს, განვაგრძოთ წინსვლა, ვიაროთ ახალი გამარჯვებებისაკენ — აი, რას გვიანდერძა ლენინმა. და დღევანდელი დღესასწაული მოწმობს, რომ პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულ საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეასრულონ დასახული ამოცანები.

ყოველ კოლონას მოაქვს ტრანსპარანტები — საოქტომბრო შრომითი ნობათის პატაკი. მეტროშენებლებმა დღესასწაულის წინა დღეებში დაამთავრეს სამუშაოები მეტროპოლიტენის „ახალ სერაუზოვის რადიუსზე. ახალი კინესკოპების გამოშვება აითვისა ქარხანა „ქრომატრონმა“, ხოლო ქათქათა გემი, მოედანზე რომ შემოცურდა, გემთშემკეთებელი და გემთსაშენებელი ქარხნის მუშათა პატაკია. ეს არის მაკეტი ახალი სერიის მეთაური გემისა, რომელიც წყალში ჩაუშვეს დღესასწაულის დამდეგს.იგი მოაქვს ამწყობთა ბრიგადას, რომელსაც ვ. გ. ბიკოვი ხელმძღვანელობს.

— მოსკოვი ხუთი ზღვის ნავსადგურია, — ამბობს ვიაჩესლავ ბიკოვი. — აქედან ათობით მისამართით გზავნის ჩვენი კოლექტივი სამდინარო თბომავლებს. ქარხანამ უკვე ორი ათასამდე ასეთი გემი გამოუშვა. ცისფერი ტრასების ამ მაშვრალთ სამუშაოზე მიჰყავთ ტიუმენელი მენავთობეები, გადაქვთ ტვირთი ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მცირე მდინარეებზე. ახალი სერიის გემი „მოსკოვური-1“ — განკუთვნილია ხელოვნურ ზღვებსა და დიდ ტბებში ნაოსნობისათვის. ასეთ თბომავლებს ავაწყობთ სპეციალურად შექმნილ საამქროში.

განახლება ოქტომბრის დღესასწაულის ერთ-ერთი მკაფიო ნიშანია. ათასობით მოსკოველი ახალ კეთილმოწყობილ ბინებში ეგებება 7 ნოემბერს. ახალმოსახლეობას იხდიან ქარხნებიც. მეორე ახალგაზრდობა დაუდგათ საწარმოებს, რომელსაც ისტორიამ განსაკუთრებული როლი მიუჩინა სოციალისტური მრეწველობის ჩამოყალიბებაში. მაგალითად, ახალ ჩერიოუმუშკში აღმართულ ვრცელ კორპუსებში ამოქმედდა სამამულო ჩარხმშენებლობის ფლაგმანის, — ქარხანა „წითელი პროლეტარის“ დიდი წარმოება.

რეკონსტრუქციამ ძირეულად უცვალა სახე დედაქალაქის განთქმულ საწარმოს — მეტალურგიულ ქარხანას „ნამგალსა და უროს“, რომელმაც წელს ასი წლის იუბილე გადაიხადა. დღესასწაულის წინ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების დავალებათა შესრულებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის ქარხნის კოლექტივს ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადაეცა. დიდი ოქტომბრისადმი მეტალურგთა შრომითი საჩუქარია მაღალეფექტური ლითონის წარმოებისათვის განკუთვნილი უნიკალური სორტსაგლინავი საამქროს პირველი რიგის ამოქმედება.

მოსკოველებს კარგი ტრადიცია აქვთ: საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეებში მიიღონ სტუმრები — მოსკოვის ოლქის მოწინავე სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების წარმოგზავნილნი. ისინი დღესაც სასტუმრო ტრიბუნებზე არიან.

ოლქის სოფლის მშრომელებსა და მოსკოველებს დიდი ხნის მტკიცე მეგობრობა და საქმიანი თანამშრომლობა აკავშირებთ. ქალაქელთა დიდმა დახმარებამ ეინრნახულის აღებაში, სოფლის მეურნეობის ობიექტების მშენებლობისა და მექანიზაციაში სოფლის მშრომელებს ძირითადი კულტურების კარგი მოსავალი მოაყვანინა, გადაჭარბებით შეასრულებინა მემცენარეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმა. მოსკოვის ოლქმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლედის სამი წლის დავალებათა შესრულებაში. საქმით უპასუხებენ აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას ამრავლონ წვლილი სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

იმას, თუ როგორ უმჯობესდება და იზრდება სხვა პროდუქციის — სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, — ნათლად მოწმობს ტრანსპარანტები, რომლებიც მოაქვთ დედაქალაქის მსუბუქი ინდუსტრიის საუკეთესო საწარმოთა წარმომადგენლებს. მათ შორისაა ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ზარია“. გაერთიანების კოლექტივმა მნიშვნელოვანი რეზერვები გამოავლინა, გადასინჯა ნაკისრი ვალდებულებანი და იკისრა ახალი, გადიდებული მიჯნების მიღწევა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მოწინავეთა ინიციატივა საუკეთესო საპონლის გამოშვების გადიდებისათვის. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის შესაბამისი შვიდასზე მეტი ახალი მოდელის ფეხსაცმლის გამოშვება ივალდებულეს მეფეხსაცმელეებმა ხუთწლედის ბოლომდე.

— ჩვენ ვისწრაფვით გავითვალისწინოთ ყველა რეზერვი — ახალი ტექნიკის დანერგვა, მეცნიერული მიღწევები, ნედლეულისა და მასალის რაციონალური გამოყენება, ეფექტიანი თანამშრომლობა მომიჯნავეებთან, — თქვა საქალის კორესპონდენტთან საუბრისას საწარმოს მოწინავე მუშამ ვ. ი. ბონდარენკომ. ჩვენს ნაკისრას ვასრულებთ: პროდუქციის ორ მესამედს გამოვუშვებთ სახელმწიფო ხარისხის ნიშნით.

ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი საბჭოთა მხატვრული კულტურის განვითარების კანონია. და სავსებით კანონზომიერია, რომ საოქტომბრო რიგებში მწერლები, მხატვრები, კინოსა და თეატრის ოსტატები თავიანთი ნაწარმოებების გმირთა მხარდამხარ მოაბიჯებენ. ჩვენი ქვეყნის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ღრმა ჰუმანიზმით გამსჭვალული შემოქმედება დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მშრომელთა სულიერი ცხოვრების გამდიდრებაში, კომუნისტური იდეალებით მათს აღზრდაში.

სადღესასწაულო კოლონების გაფორმებაში ნათლად მოჩანს კოსმოსის ათვისების თემა — სამამულო მეცნიერული აზროვნების აღმაფრენის, ჩვენს სწავლულთა უდიდესი მიღწევების შთამაგონებელი სიმბოლო. საბჭოთა კოსმოსური პროგრამა მშვიდობისა და პროგრესის საქმეს ემსახურება. კოსმოსური ვახტი გახდა საბჭოეთის სამუშაო სადგი დღეები, ჩვენი აღმშენებლობითი გეგმების შემადგენელი ნაწილი.

მოედანზე ბობოქარ ნაკადად შემოიჭრა მოზეიმე ახალგაზრდობა. მოდის საბჭოთის სიჭაბუკი, მოდიან უფროს თაობათა რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების მემკვიდრენი. დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ნაკრები კოლონის თავზე ალისფერი დროშების ზღვა ირწევა.

ლენინური კომკავშირი, რომელმაც ახლახან თავისი 65 წლისთავი აღნიშნა, კომუნისტური პარტიის სამეფდო თანაშემწე და საბრძოლო რეზერვი, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმია. მოქალაქეობრივი სიმტკიცის, იდეური წრთობის სკოლას გადის მის რიგებში 42 მილიონი ქალიშვილი და ჭაბუკი. კომკავშირი შეფობას უწევს ხუთწლედის 135 უმნიშვნელოვანეს დამკვრელურ მშენებლობას.

ღრმად სიმბოლურია, რომ მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციას ამთავრებს ახალგაზრდობის მსვლელობა. სწორედ მან უნდა განაგრძოს დიდი ოქტომბრის უკვდავი საქმე.

საბჭოთა ხალხს სწამს სოციალისტური სამშობლოს ნათელი მომავალი. საბჭოთა ხალხს სჯერა მთელი პლანეტის ნათელი მერმისი, რადგან იგი მშვიდობის საქმის ერთგული დამცველია, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის მტკიცე და აქტიური მებრძოლია. დღეს კაცობრობამ კვლავ გაიგონა წითელი მოედნიდან 272 მილიონი საბჭოთა ადამიანის ომახიანი ხმა„ მსოფლიოს — მშვიდობა!“

წითელი მოედნიდან რეპორტაჟს გადმოსცემდნენ საკადრის კორესპონდენტები ა. ბელიკოვი, მ. ბოროდინა, ო. მოსკოვსკი, ს. მუტოვკინი, ა. სივცოვი, ვ. ჯალალოვა.

ჩვენი ქვეყნის ქალაქებში

ლენინგრადი. 66 ჩირაღდანი აინთო პეტრე-პავლეს ციხის ბურჯებზე, როგორც სალუტი. დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის. მათი სინათლე აირეკლა ნევაში, სადაც ზომალდების ზუსტი მწყობრის სათავეში აღმართა ფერადი ალმები ლენგენდარულმა „ავრორამ“. პეტროგრადის იმ მუშების მემკვიდრედ, რომელთა ხელმა ჯავშნით შემოსა რევოლუციის კრეისერი, მოვიდა დღეს სასახლეს მოედანზე ბალტიკის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთსაშენებელი ქარხნის ვეტერანი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ვ. ა. სმირნოვი.

რამდენჯერ გამოსულა ვასილ ალექსანდრეს ძე ქალაქის მთავარ მოედანზე წითელი დროშებით მორთულ სადღესასწაულო კოლონებში! სხვადასხვა ათწლეულების საოქტომბრო პატაკებში არის მისი შრომით ჩაწერილი სტრიქონებიც.

დიდი ოქტომბრის ქალაქის მშრომელთა ტრადიციაა იყვნენ წინ, კვალადნენ უცნობ გზებს. მიმდინარე ხუთწლედში მთელ ქვეყანაში ფართოდდება მათი თაოსნობა „ნაკლები რიცხვით მეტი პროდუქცია“.

იმ ქალაქის მშრომელები, საიდანაც მთელ პლანეტაზე გაისმა ლენინის სამშვიდობო მოწოდება, დემონსტრაციაზე გამოვიდნენ ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით, რომლებიც ასახავენ საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ერთსულოვან მხარდაჭერას. საოქტომბრო მარში სასახლის მოედანზე გაჩდა ლენინგრადელთა იმ მტკიცე გადაწყვეტილების ნათელი მანიფესტაცია, რომ ღირსეულად შეასრულონ ხუთწლედის მაღალი ვალდებულებანი, განახორციელონ სკკპ XXVI ყრილობის წინასწარდასახულანი.

კიევი. უკრაინის დედაქალაქის მრავალფეროვან სადღესასწაულო მორთულობაში თავიანთი ლამაზი თაიგული ჩაწნეს რესპუბლიკაში უდიდესი დარნიცის ბრეშმის კომბინატის მშრომელებმა. ცისარტყელის ყველა ფერით შემკულმა ფეიერთა კოლონამ დღეს თავისი ტრადიციული მარშრუტით ჩაიარა ოქტომბრის რევოლუციის მოედანზე.

სტენდებზე წარმოდგენილ ნიმუშთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დარნიცელების ქსოვილი, რომელშიც ოქროსფრად დაფერილა შემოდგომა, შერწყმული გამჭირვალე ცისფერი და მიხაკების ალისფერი. თავისი პოეტური სახელწოდება „ლუბავა“ მან მიიღო სოციალისტური შრომის გმირის ლ. კონდრატიევას პატივსაცემად. იგი დარგში პირველი გადავიდა მომსახურების გაფართოებულ ზონაზე, რომელიც მოიცავს 104 დაზგას. ნოვატორმა ორ წელიწადზე ცოტა ნაკლებ დროში შეასრულა გასული ხუთწლედის დავალება. ახლა მის სამუშაო კალენდარზე 1986 წლის ოქტომბერია.

დიდი ოქტომბრის 66 წლისთავისათვის გმირი ქალაქის საწარმოებმა 100 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია გაასხლეს, დავალების დამატებით აწარმოეს ჩარხები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ხელსაწყოები, ელექტრონული ტექნიკა, სახალხო მოხმარების საქონელი.

რიგა. სახალხო ტრადიციაა საიმედოდ შესრულებული სამუშაო სიმღერით დააგვირგვინონ. რიგის საზეიმო კოლონებში შთაგონებით ეღერდა ხალხის საყვარელი მელოდიები.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ ოქტომბრის წლისთავს ლატვიის შრომითი კოლექტივები: რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე გაანაღდა ცხრა თვის გეგმა. ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა გამარჯვებების შესახებ მარტო ლამაზად გაფორმებული ტრანსპარანტები და პანოები როდი მოგვითხრობენ. რესპუბლიკის ცხოვრება აღბეჭდილია მრავალ მხატვრულ ნაწარმოებებში, რომელთა ავტორებმა დღეს დემონსტრანტთა კოლონებში თავიანთი სურათებისა და ფილმების გმირებთან ერთად ჩაიარეს.

ლენინური პრემიის ლაურეატმა ი. ზარინმა ფერმწერის ემოციური ფუნჯით შექმნა ქალაქისა და სოფლის საუკეთესო ადამიანთა პორტრეტები. ჩვენი დროის გმირთა შესახებ მისი ნაამბობი ეხმაურება წამყვან თემას მხატვრის შემოქმედებაში, ლატვიელ წითელ მსროლელთა გმირობას. საზეიმო კოლონებში თავის სტუდენტებთან ერთად მიაბიჯებდა ლატვიის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ი. კოკარსი.

— მუზები მუშათა მწყობრში — ჩვენი ცხოვრების მკაფიო ნიშანია, — თქვა მან. — რიგისა და სხვა ქალაქების და სოფლების ქუჩებში დღეს ეღერს სიმღერები, ბევრია მუსიკა. ხელოვნების კიდევ უფრო განვითარებაში გვეხმარება შემოქმედებითი ინტელიგენციის მეგობრობა მუშებთან და კოლმეურნ

თბილისი, 7 ნოემბერი. რესპუბლიკის მოედანი. ცენტრალურ ტრიბუნაზე.

ალმშენებლობის, მშვიდობის დღესასწაული

სამხედრო პარადი და თბილისის მშრომელების წარმომადგენელთა დემონსტრაცია

აი დადგა ჩვენი ქვეყნის მთავარი დღესასწაული, აღმშენებლობის, მშვიდობის დღესასწაული: სამოცდამეექვსე ოქტომბერს რესპუბლიკა განსაკუთრებული განწყობილებით ეგებება. გადაშლილია მისი ბიოგრაფიის კიდევ ერთი ნათელი ფურცელი: სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დიდი წარმატებებისათვის და რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის აღსანიშნავად მას სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიენიჭა.

სიმბოლურია, რომ ეს სასახარულო ცნობა მოსკოვიდან მივიღეთ საბჭოთის დამდგების დღის წინ. სწორედ დიდმა ოქტომბერმა შთაბერა ცხოველმყოფელი ძალა მომავ ქვეყნების კავშირს, რომლებმაც ერთიანი მისწრაფებებით, საერთო მიზნით გააერთიანეს ოცავიანი ბედი. ეს მისწრაფებები, ეს მიზანი თვალნათლივ აისახა დემონსტრანტების სადღესასწაულო კოლონებში. საქართველოს დედაქალაქის ყოველი მუშათა კოლექტივი, ყოველი მშრომელი, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ოქტომბრის წლისთავს ახალი მიღწევებით ხვდებიან. ქალაქის მშრომელები საქმით უპასუხებენ სამშობლოს ს

ზეიმობს საქართველო

სოხუმი

თვალწარმტაცი პატარა ქალაქში, რომელიც შენდება კინდღის მეფრინველეობის ფაბრიკისა და სასათბურო კომბინატის გვერდით მზიურ ველზე, სადღესასწაულო დღეებში პირველი ახალმოსახლეობა გაიმართა. კეთილმოწყობილ კოტეჯებში შეესახლდნენ ამ საწარმოთა მუშების ახალგაზრდა ოჯახები.

— გაიკლის კიდევ რამდენიმე წელიც და ამ მწვანე კუთხეში ამენდება საინჟინრო თვალსაზრისით ასეთივე ეკონომიური სოფლის მცხოვრებლებისათვის მოხერხებული 135 სახლი, — თქვა საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №73 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსმა ანზორ ფრუიძემ.

...ახალმშენებლობანი, ახალმოსახლეობა! სიხარულით აღსავსე ეს ორი სიტყვა განსაკუთრებით ხშირად გაისმის ახლა სადღესასწაულო აფხაზეთის ყველა კუთხეში.

შემთხვევითი არ არის, რომ სადღესასწაულო დემონსტრაციაზე, რომელიც საზეიმოდ მიმდინარეობს აფხაზეთის დედაქალაქის მთავარ მოედანზე — ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე, გამარჯვების შრომითს პატაკებს იძლევიან მშენებლები. უკანასკნელ ხუთ წელზე ოდნავ მეტ ხანში მათ სოხუმის ერთ-ერთ თვალწარმტაც გარეუბანში ააშენეს კეთილმოწყობილი ქალაქი 35 ათასი მცხოვრებისათვის.

მიმდინარეობს სოხუმის აეროპორტის რეკონსტრუქცია. გაგრაში აშენდა საზღვაო ვაგზლის ნავმისადგომი. დაიწყო 1000-საწოლიანი მრავალპროფილიანი საავადმყოფო კომპლექსის მშენებლობა სოხუმის მიდამოებში. შენდება ტელერადიოს სახლი, ბეჭდვითი სიტყვის სახლი.

— ამ და სხვა ახალი მშენებლობების, —ხაზი გაუსვა სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვლადიმერ მიკანბამ, —დაბადებას უნდა უმადლოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ.

იმას, თუ როგორ სრულდება აფხაზეთში აღმშენებლობის ეს ვრცელი პროგრამა, მოწმობს დღევანდელი წარმატებანიც, რომლებსაც საოქტომბრო ზეიმის მონაწილენი უპატაკებენ სამშობლოს.

შრომითს კოლექტივებთან, კულტურის მუშაკებთან, სტუდენტებთან და მოსწავლეებთან ერთად ოქტომბრის ნათელი დღესასწაული საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს აფხაზეთის მრავალმა სტუმარმაც — ტურისტებმა და შავი ზღვის ჯანმრთელობის კერების დამსვენებლებმა.

დემონსტრაციის მონაწილეებს ტრიბუნიდან მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

ბათუმი

სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის ბრძოლაში დიდი შრომითი გამარჯვების შთაბეჭდილებით გამოვიდნენ აჭარის ასსრ დედაქალაქის მშრომელები სადღესასწაულო დემონსტრაციაზე: ოქტომბრის ზეიმის წინ ავტონომიური რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში დამთავრდა ხუთწლედის მესამე წლის მოსავლის ჩაის ფოთლის კრეფა. იგი ჭეშმარიტად რეკორდული გამოდგა. რესპუბლიკამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 70,8 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს თითქმის 700 ტონით მეტია, ვიდრე მოიკრიფა შარშან, რომელიც განსაკუთრებით მოსავლიანად ითვლებოდა.

ოჩხამურის „სპასტიო ნიშნის“ ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის კუჩა სებასკვერაძისათვის ახლანდელი ოქტომბერი კიდევ ერთი ნიშანსვეტი გახდა მუშის ბიოგრაფიაში. ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ სახელგანთქმულმა მძღოლმა მნიშვნელოვნად გადაჭარბა საგეგმო დავალებას, ახლა იგი 1985 წლის ანგარიშში შრომობს.

— ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მითითება, რომ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის საჭიროა მკვეთრად შემცირდეს ხელის შრომის გამოყენება, უწოდრეს ყოველისა კომპლექსური მექანიზაციის გზით, ჩვენი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის საბრძოლო პროგრამა გახდა, — თქვა კ. სებასკვერაძემ. — ახლა ჩაის მთელი მოსავლის დაახლოებით 90 პროცენტს მანქანებით ვკრეფთ.

აჭარის მეჩაიეები შრომითს ენერგეტიკის გადასაცემენ მეციტრუსეებს, რომლებმაც წარმატებით დაიწყეს ციტრუსების კრეფა. საქართველოა თქვას, რომ 7 ნოემბრისათვის პლანტაციებში უკვე მოიკრიფა 15 ათას ტონაზე მეტი სურნელოვანი ნაყოფი. ეს ციფრი განსაკუთრებით გამომსახველი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ შარშან ამ დღისათვის მოკრეფილი იყო მხოლოდ რამდენიმე ასეული ტონა.

— სხვაგვარად მუშაობა არც შეიძლება, — თქვა ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვას კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა მ. ანანიძემ. — ჩვენ ხომ გადიდებული ვალდებულებანი ვიკისრეთ — მოვკრიფოთ 165 ათასი ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი. ეს გეგმის თითქმის 130 პროცენტია.

მშრომელი აჭარის წარმატებები, რომლის მთავარი სიმდიდრეც ჩაი და ციტრუსია, გამოიხატა ლამაზად გაფორმებულ სადღესასწაულო დემონსტრაციაში, რომელიც ბათუმში გაიმართა ლენინის მოედანზე.

ტრიბუნებს საზეიმო მარშით ჩაუარეს პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებმა, საოქტომბრო შეჯიბრებისა და გეოროგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრების გამარჯვებულ საწარმოთა კოლექტივებმა.

ცხინვალი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქის თეატრალურ მოედანზე სადღესასწაულის უფლება მიენიჭათ იმ საწარმოთა კოლექტივებს, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს საოქტომბრო სოციალისტური ვალდებულებანი.

კოლონაში არიან „ელექტროვიბრომანქანის“ მექანიკური და ავტობუსშემკეთებელი ქარხნების, ხე-ტყის კომბინატის, ყველაზე ახალგაზრდა საწარმოს — ტრიკოტაჟის საცალის ფაბრიკის და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ფართოდ ცნობილი „ემალსადენის“ წარმომადგენლები, ეს ქარხანა თავის პროდუქციას უგზავნის 150-ზე მეტ შემკვეთს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. და მისი ყოველი მესამე ნაკეთობა სახელმწიფო ხარისხის ნიშნით არის მარკირებული. აქ კი გამოდის სულ სხვადასხვანაირი სადენები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ადამიანის თმაზე უფრო წვრილია.

— მიმდინარე წლის ათი თვის მანძილზე ჩვენმა საწარმომ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 150 ათასი მანეთის პროდუქცია, — თქვა „ემალსადენის“ პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ბატირ გასიევმა. — დღესასწაულის წინ ჩვენ ვადამდე გავუგზავნეთ სხვადასხვაგვარი სადენების დიდი პარტია ჩელიაბინსკის, ნიკოლაევის, არმავირის საწარმოებს. ჩვენს პროდუქციაში მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია აგრეთვე ფართო მოხმარების საქონელს, რომლის გამოშვების გეგმა 103 პროცენტით და მეტად არის შესრულებული. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რაშიც დიდი როლი შეასრულა დღესასწაულისწინა შეჯიბრებამ. ჩვენ ყველაც გავაფართოვებთ მას, რათა გადაჭარბებით გავანაღდოთ მიმდინარე წლისა და მთელი ხუთწლედის დავალება.

მთლიანად ქალაქ ცხინვალის მრეწველობამ წარმატებით გაართვა თავი პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმებს და სოციალისტურ ვალდებულებებს. ნაირფერ ტრანსპარანტებზე წარწერილი ციფრები მოწმობენ: ათი თვის გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია ორ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ნაწარმი.

დემონსტრაციაზე სამშობლოს წარმატებებს უპატაკებს მთიანი მხარის ყველა შრომელი. პირნათლად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 66 წლისთავს კვაისის მაღაროსამმართველოს მაღაროელები, წნელისის საწარმოს „საქთაველის“ მეშახტეები, კვაკასიონის მთავარი ქედის გამჭოლი უნიკალური ავტოსაგზაო გვირაბის მშენებლები...

მოდიან ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმომადგენლები. წლევანდელი ამინდის რთული პირობების მიუხედავად ისინი წარმატებით წყვეტენ სასურსათო პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. რეგიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლის მიყიდვის დავალება. დამკვრელური ტემპით მიმდინარეობს შაქრის ჭარხლის და ხილის მოსავლის აღება, საკვების დამზადება.

სადღესასწაულო დემონსტრაციის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, ავტონომიური ოლქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.





სურათებზე: მშრომელთა დემონსტრაციები სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში.
ი. ჭოხონელიძის, ნ. ანასტასიევისა და ლ. გუსოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქუთაისი

დიდი წარმატებებით აღნიშნეს ქუთაისელებმა ქვეყნის მთავარი დღესასწაული. 1983 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებულ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მაღალი შედეგებისათვის ქალაქი დაჯილდოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ათი თვის მანძილზე ქუთაისის მრეწველობამ გამოუშვა 14 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

კანონზომიერიც არის, რომ დემონსტრანტთა სადღესასწაულო კოლონებს სათავეში უდგანან წარმოების მოწინავენი. ისინი ხუთასნი არიან. ადამიანები ქუთაისის სიამაყეს და დიდებას რომ შეადგენენ!

მოედანზე შემოვიდნენ ქალაქის ლენინის რაიონის მშრომელები. მათ მოაქვთ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უზარმაზარი ბიუსტი, ტრანსპარანტებზე წარწერილია „მსოფლიოს — მშვიდობა!“, „გაუმარჯოს მშვიდობის მედროშეს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „სადღესასწაულო ვალდებულებებს — შევასრულებთ„“.

ავტოქარხნის რაიონის მშრომელთა კოლონას მოუძღვიან ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მრავალთასიანი კოლექტივის წარმომადგენლები. წინ მოდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომატურებელი, რომლის სერიული გამოშვებაც გაისად დაიწყება.

მთელი ქვეყანა ეხმარება ქარხანას გენერალურ რეკონსტრუქციაში. ამ საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ მოსკოვის, ტოლიატის, იაროსლავლის, ბრეჟნევის ავტომობილმშენებლებს, ორჯონიკიძის ჩარხსაშენებელი ქარხნისა და სხვა საწარმოების კოლექტივებს. მათთან თანამეგობრობით ფრთაშესხმულ ქუთაისელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მოკლე ვადაში დაამთავრონ მოსამზადებელი სამუშაოები და უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომობილების სერიული გამოშვება, როგორც ეს ქვეყნის სასურსათო პროგრამით არის გათვალისწინებული.

სადღესასწაულო დემონსტრაციას ამთავრებენ ზოგადსაგანმათლებლო სკოლების და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლონები.

რუსთავი

დიდი ოქტომბრის 66 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში გახდნენ მამა-შვილი გოდერძი და ნუგზარ ფანჩვიძეები. წარმოების სხვა მოწინავეებთან ერთად მათ მოიპოვეს უფლება სათავეში ჩასდგომოდნენ მეტალურგთა კოლონებს სადღესასწაულო დემონსტრაციაზე.

მეფოლადე გ. ფანჩვიძე მეოთხედ საუკუნეზე მეტია ქარხანაში მუშაობს. მეტალურგის პროფესია აირჩია მისმა ვაჟმა ნუგზარმაც. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მივიდა იგი მარტენის საამქროში მეფოლადის შეგირდად. მერე საბჭოთა არმიაში მსახურობდა, მხედრული მოვალეობა მოიხადა და კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ ქარხანას.

ოჯახთან ერთად გამოვიდა დემონსტრაციაზე მილსაგლინავი საამქროს მოწინავე ოსტატი კონსტანტინე შაორშაძე. მისი მეუღლე და შვილი ასევე მეტალურგიული ქარხნის მუშაკები არიან.

ეს ტრადიციაა. კოლონებში მოდიან შთამომავლობითი მეტალურგების — სორტსაგლინავი საამქროს მვალცავის გრიგოლ უგულავას, კოსმეტიკური საამქროს მეაირის პავლე ბათმანოვის, მეფოლადე თამაზ სპანდერაშვილის და ბევრი სხვა მშრომელის ოჯახები.

თავისი შრომითი საქმეებით გაითქვა სახელი ამიერკავკასიის ლენინის ორდენოსანი „მეტალურგმშენის“ ტრესტის სარკმონტომექანიკური ქარხნის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ მაცკომ. მისი მეუღლე, ქალიშვილი და ვაჟი წარმატებით შრომობენ ქალაქის მშენებლობებზე. ბრიგადამ, რომელსაც ნ. მაცკო მეთაურობს, გაამარჯვა დიდი ოქტომბრის 66 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მას ტოლს არ უდებს არც მისი ვაჟი იური, ასევე ამწყობი ზეინკალი. უმცროსი მაცკო საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, მეთერთმეტე ხუთწლედის გვარდიელია.

ტრიბუნები ტაშით ეგებებიან ტრესტის სახელოვან კოლექტივს. წელს მან სამაზის გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მტკიცედ ინარჩუნებს სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს და დარგობრივი ფოფოკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას.

რუსთაველთა ზეიმის ტრადიციულ ადგილზე — ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე ჩაიარეს ქიმიკოსებმა, მეცემენტეებმა. ამწეგმშენებლებმა, ფოლადთუჯსამსხმელო და ლითონკონსტრუქციათა ქარხნების მუშებმა. დემონსტრანტებს მოაქვთ ტრანსპარანტები, რომლებიც მშრომელებს მოუწოდებენ იმუშაონ შთაგონებით, თავდადებით, განამტკიცონ სამშობლოს ძლიერება ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

რუსთაველთა სადღესასწაულო დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ ვიეტნამელი, კამპუჩიელი და ლაოსელი ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც ქალაქის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლობენ. (საქინფორმი).

გილოცავთ, კვლავაც გამარჯვებით გევლოთ!



სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა შორის, რომლებსაც სსრ კავშირის 1983 წლის სახელმწიფო პრემია მიენიჭათ, არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები სერგი პეტრეს ძე ანთიძე და კარლო ალექსანდრეს ძე ქობალია. ვულოცავთ შრომის ლაურეატებს მთავრობის დიდ ჯილდოს!



ბრიგადირი

ვის არ უნახავს მთის ფერდობებზე თუ ვაკე ადგილებში დაცვმული კოპწია კარვები. იქვე ახლოს დადგმული უჩვეულო კოშკურები, მათ გვერდით მოფუსფუსე სპეციალისამლიანი ვაჟკაცები? ეს ბუნების წიაღის მზვერავები, საინტერესო პროფესიის ადამიანები არიან, რომლებიც თოვლსა თუ ყინვაში, კოკისპირულ წვიმასა თუ ხრშაში სიცივესა და სიცხეს არ ეპუებიან და ვაჟკაცურად ერკინებიან მთების გულს, ზვერავენ და სწავლობენ ბუნების წიაღს, სწორედ ამ ადამიანებმა — გეოლოგებმა აღმოაჩინეს და ქვეყანას შემატეს არაერთი ძვირფასი საბადო, რომელთა საფუძველიანი შესწავლის შემდეგ ხდება მათი ექსპლოატაცია და ხალხის სამსახურში ჩაყენება.

თითქმის 40 წელი მუშაობს ჯანმოუღლელად საქართველოს სსრ გეოლოგიურ საშმართველოს სისტემაში სერგი ანთიძე. აქედან 20 წელზე მეტი — ცენტრალურ-გეოლოგიური საძიებო ექსპედიციის თერჯოლის გეოლოგიურ საძიებო პარტიაში მშურლავთა ბრიგადის ბრიგადირად. ამ ხნის მანძილზე ს. ანთიძემ თავი გამოიჩინა როგორც კარგმა ორგანიზატორმა და საქმეც ისე წარმართა, რომ ახლა ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავეა და ყოველწლიურად საგეგმო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს, ამის შედეგიცაა, რომ ბრიგადის წევრებმა ხუთწლედის დავალებები გადაჭარბებით შეასრულეს და ახლა 1986 წლის ანგარიშში მუშაობენ.

ისიც აღსანიშნავია, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის 9 თვის შედეგებით ს. ანთიძის ბრიგადა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროსა და შესაბამისი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

კითხვაზე, თუ როგორ, რა ხერხებითა და მეთოდებით აღწევს ბრიგადა წარმატებებს, ლაჟვარდოსელმა ბრიგადირმა თქვა:

— ჩვენი სამუშაო სპეციფიკურია, შეიძლება 6 თვეს ოჯახში ვერ ჩახვიდე, საყვარელ მეუღლეს, შვილებსა და შვილიშვილებს ვერ მოეფერო, ამას საქმე მოითხოვს. ბრიგადის წევრები დაინტერესებული არიან დიდი შრომის ნაყოფიერებით. ერთი—ყველასათვის, ველა — ერთისათვის! — ამ დევიზით ვართ შედუღაბებული და ერთმანეთის ჭირ-ვარამს ვიზიარებთ. როცა კოლექტივი მონოლითურია, შრომის ნაყოფიერებაც კარგია.

სხვა ბევრი სიახლე და რაციონალიზატორული წინადადებები აქვს ბრიგადას, მაგრამ მათზე საუბარი შორს წაგვიყვანს. მთავარი ის არის რომ შრომა ჩვენთან ყოველთვის იყო დაფასებული და ასეა ამ საინტერესო პროფესიის მქონე, მშურლავთა ბრიგადაშიც. შრომის შესაფერისი სახელი და დიდება არ მოჰკლებიათ ბრიგადასა და მის წევრებს. ახლა კი, ამ დღეებში ბრიგადის ნიჭიერ ხელმძღვანელს სერგი ანთიძეს სსრ კავშირის 1983 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მიენიჭა. („კომ“. კორ.).

მოწინავე მექანიზატორი

ინგირის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა არა მარტო ზუგდიდის რაიონში, არამედ მთელ ჩვენს რესპუბლიკაში. იგი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მობილური მანქანებით კრეფის დანერგვის პიონერია. „ჩა-900“ და „საქართველო“ სწორედ ამ მეურნეობაში გამოიცადა და დაინერგა, რამაც ასობით მშრომელი გაათავისუფლა ჩაის ფოთლის ხელით კრეფის მძიმე შრომისაგან.

მობილური მანქანების გამოჩენამ საკვერდოვან ჩაის პლანტაციებში ახალგაზრდობის დიდი ინტერესი გამოიწვია. ვეება მანქანები მწკრივთა შორის მიგორავდნენ და მოკრეფილი ჩაის ლორთქმა დუყეს ბუნკერებში ისრუტავდნენ, შემდეგ იქვე ახლოს მდებარე ჩაის ფარდულებში იცლებოდნენ და კვლავ მიაშურებდნენ პლანტაციებს.

ჯერ კიდევ პირტიტველა კარლო ქობალია თანატოლებთან ერთად დაინტერესდა ამ „უცნაური“ მანქანებით. მართალია, იგი მეურნეობაში მსახურობდა, მაგრამ მტკიცედ გადაწყვიტა მანქანა „საქართველოს“ შესაჯგამხდარიყო. და სიტყვა საქმედ აქცია. კ. ქობალია კარგად დაეუფლა აგრეგატის მართვისა და ჩაის ფოთლის კრეფის საინტერესო, მაგრამ რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს და კიდევაც მალე გამოიჩინა თავი, როგორც მოწინავე მექანიზატორმა. ეს იყო ოცდაოდე წლის წინად. კ. ქობალიას შრომითს საქმიანობაზე, მისი მუშაობის ხერხებსა და მეთოდებზე მრავალჯერ თქმულა და დაწერილა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში.

ამ უანგარო, დაუცხრომელი შრომის ნაყოფია, რომ კარლო ქობალიას მკერდზე კიაფობს შრომის დიდების ორდენი და მედლები. იგი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გამოფენის მრავალგზის მონაწილეა და დაჯილდოებულია გამოფენის მედლებით.

მოწინავე მექანიზატორი ყოველწლიურად მეტი და ხარისხოვანი ჩაის ნედლეულისათვის იბრძვის. შარშან ყველა მაჩვენებლებით საგეგმო დავალება დიდი გადაჭარბებით — 135 პროცენტით შეასრულა. წლეულს, მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა, „საქართველოთი“ მოკრიფა და გადასამუშავებელ მრეწველობას ჩააბარა 70 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — ველდებულებით ნაკისრზე მეტი.

ისიც აღსანიშნავია, რომ კ. ქობალია რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. ხანგრძლივი მუშაობითა და გამოცდილებით მან ჩაის საკრეფი აგრეგატის მწარმოებლობა 12 პროცენტით გაზარდა. ეს ციფრი რიდია. ასე იღვწის და შრომობს დიდ კოლექტივში ახალგაზრდობის დამრიგებელი, კაცური კაცი კარლო ქობალია.

შრომა, რომელსაც კ. ქობალია წლების განმავლობაში ეწევა, არასოდეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ასეა წელსაც. ნიჭიერ მექანიზატორს სსრ კავშირის 1983 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა. („კომ.“ კორ.).



სურათზე: სკულპტურული კომპოზიცია „ბოროტსა სძლია კეთილმან“.
ბ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სადაც ამოჩქეფს მაცოცხლებელი წყაროები

დიდებაი მემორიალი აღიმართა ჩხოროწყუაში. ლითონში ჩამოსხმული 14-მეტრიანი სკულპტურული კომპოზიცია თემაზე „ბოროტსა სძლია კეთილმან“ განასახიერებს ადამიანის მარადიულ სწრაფვას ბედნიერებისაკენ, ბოროტზე კეთილის გამარჯვებას.

ჩხოროწყუ... ცხრა წყაროს ადგილი. ასე უწოდებენ ძველთაგანვე კოლხეთის ამ თვალწარმტაც კუთხეს. მძლავრი აღმშენებლობითი მუშაობაა გაჩაღებული აქ. იზრდება ჩაის პლანტაციებისა და ციტრუსოვანთა ბაღების ხუთმუხტოვანი ფიანდაზი. მთის პეიზაჟს ერწყმის კოლმეურნეთა ახალი სახლები, გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა შენობები... რაიონის მშრომელთა დიდ წარმატებებს მოწმობს ციფრები: მათ ჯერ კიდევ შარშან დაძლიეს მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის დასახული მიჯნები. აწარმოვეს 32 მილიონ მანეთისაზე მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ხოლო სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მოცულობამ მიაღწია 42 მილიონ მანეთს, რაც ორი მილიონით მეტია, ვიდრე დასახული იყო 1985 წლის დამლევისათვის, ბოლო წლების განმავლობაში აქ ამოქმედდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტები, რომლებმაც შექმნეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო საწარმოების მომგებიანი მუშაობის პირობები.

მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გაკანებას ჩხოროწყუელები უკავშირებენ აქ 1980 წელს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შექმნას.

პირველი დღეებიდანვე რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ ყურადღება მიაპყრო მეურნეობებსა და აგროსამრეწველო კომბინატში მათ პარტნიორებს შორის თანამშრომლობის დამკვიდრებას. პარტიის რაიკომის ყოველდღიური დახმარებით მან ძმას მიაღწია, რომ სოფლის პარტნიორები მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა თანაბრად პასუხს აგებენ მოსავლისათვის, წველადობის, წონა-მატებისათვის, სასოფლო-სამეურნეო შრომის საბოლოო შედეგისათვის. არცთუ ისე დიდი დრო გავიდა, მაგრამ რაიონმა შეიძინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახლებურად მართვის ერთგვარი გამოცდილება, რამაც გაავლენა იქონია მიწდვრებისა და ფერმების უკუგების ამაღლებაზე. მაგალითად, უკვე შარშან ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა 1975 წელთან შედარებით 185 პროცენტით გაიზარდა. ყოველ ჰექტარზე ახლა საშუალოდ კრეფენ 10 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. 17-დან 35 ცენტნერამდე გაიზარდა სიმინდის ყანის მოსავლიანობა. რძის ნაწილი თითოეულ ძროხაზე გაიზარდა წელიწადში 1200-დან 2100 კილოგრამამდე. მკვეთრად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

ყველა ეს წარმატება მიღწეულია საქმის ერთგული, მზრუნველი და ყაირათიანი ადამიანების მეცადინეობით. მათ შორის არიან ქვეყანაში ცნობილი მეჩაიეები სოციალისტური შრომის გმირი ნ. შენგელია, შრომითი დიდების ორდენის სრული კავალერი ეცირამუა, სოციალისტური შრომის გმირი აგრონომი ს. მალანია და ბევრი სხვა.

ბევრი საამაყო და სასიხარულო აქვთ ჩხოროწყუს რაიონის მშრომელებს, ამის შესახებ დიდების მემორიალის საზეიმო გახსნაზე იალპარაკეს პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ქაჯაიამ, პარტიის წევრმა 1919 წლიდან პერსონალურმა პენსიონერმა ნ. ჯინჯოლავამ, დიდი სამამულო ომის მონაწილემ, მუხურის საშუალო სკოლის დირექტორმა კ. ჩიქოვანმა და სხვებმა. მემორიალის გახსნაზე ჩხოროწყუაში შეიკრიბნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები, თბილისიდან, მეზობელი ცხაკაიასა და წალენჯიხის რაიონებიდან, ქალაქ ფოთიდან ჩამოსული სტუმრები. რაიონის მშრომელებს მიესალმნენ პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. გულუა, წალენჯიხისა და ცხაკაიას რაიკომების პირველი მდივნები რ. ჯახია და ბ. ჯიქია.

ნელა ეცლება თეთრი საბურველი მონუმენტს, რომელიც აიგო სკვერში რაიონული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობასთან. მონუმენტის ავტორები არიან მოქანდაკეები კ. ყვანია, რ. მჭედლიშვილი, არქიტექტორი დ. ელოშვილი.

დიდების მემორიალის გახსნისადმი მიძღვნილი ზეიმი დაგვგირგვინეს მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა.

(საქინფორმი).

სამინისტროს ახალსახლობა

ამიერიდან ათასობით ადამიანს არ მოუხდება ზედმეტი დროის დახარჯვა სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში საარსებო საკითხების გადასაწყვეტად, პენსიონერების, ინვალიდებისა და მრავალშვილიანი დედების დამხმარე სამსახურები ავტანის გზატკეცილიდან გადავიდნენ პენსიებისა და დახმარების დარიცხვისა და გაცემის რესპუბლიკური ცენტრის ახალ მაღლივ შენობაში, რომელიც აშენდა ა. წერეთლის პროსპექტის ბოლოში მეტრო „დიდუბის“ მახლობლად.

ახალ შენობაში განლაგებულია თვით სამინისტროც და საპროტეზო-ორთოპედიული წარმოების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროც.

აქვე იქმნება გამოთვლითი ცენტრი, სადაც ელექტრონული გამომთვლელი მანქანები შესრულებენ ყველა საანგარიშო ოპერაციას. ელექტრონიკა შექმნის დარიცხვების ავტომატიზების, კავშირგაბმულობის განყოფილებების მიერ პენსიების გაცემის კონტროლის საშუალებას.

დაიხსომეთ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ახალი მისამართი: 380019, თბილისი, 19, ა. წერეთლის პროსპექტი, 144. (საქინფორმი).

ტელევიზია

8 ნოემბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.20 — მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება. 9.50 და 20.15 — მულტფილმები. 10.35 — მუსიკალურ-პოეტური კომპოზიცია „ოქტომბრის პოემა“. 11.15 — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები — სსრ კავშირის 1983 წლის სახელმწიფო პრემიების ლაურეატები. 12.15 — „მხიარული ნოტები“. 13.15 — შეხვედრები საბჭოეთში. 13.30 — ფილმი ბავშვებს „ნუკის თავგადასავალი“. 14.45 — მოგზაურთა კლუბი. 15.45 — მხატვრული ტელეფილმი „მე მშრომელი ხალხის შვილი ვარ“. I და II სერი. 18.00 — „ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები“. ტელეფილმი „ერთხელ არჩეული გზა“. მე-3 ფილმი — „დავაჟკაცება“. 19.00 — სსრ კავშირის 1983 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში. 20.30 — მხატვრული ფილმი „ტრანსციმბირის ექსპრესი“. 22.00 — „ვრემია“. 22.35— მუსიკალური ტელესპექტაკლი „ჩემი ფრანც ლეგარი“. 23.20 — „სპორტის ჯადოქრები“. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20; 13.50 და 17.10 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.50 — სასულე ორკესტრის კონცერტი. 10.35 — მხატვრული ფილმი „მეამბოხე ორიონი“. 11.55 — დოკუმენტური ეკრანი. 12.55 — კარელიის ტელევიზიის პროგრამა. 14.15 — უკრაინის პროფტექნიკური განათლების მხატვრული კოლექტივების გამოსვლა. 15.15 — მულტფილმები. 15.45 — მ. რაუხვერგერის ოპერა „წითელქუდა“. 17.20 — მუსიკა ყველასათვის. 18.30 — აბა, ბიჭებო! 20.30 — ცეკვა-სიმღერა. 21.00 — „ძილი ნ